# მწყემსი




მე გარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).


**№ 13** **1883-1891** 15 ივლისი



გაზეთის ფასი:

| «მწყემსი» | | «მწყემსი» რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 5 მან. | 12 თვით . . . | 6 მან. |
| 6 — . . . | 3 — | 6 — . . . | 4 — |

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *въ Кутаисъ. Въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.


## დიდი მნიშვნელობა და უაღრესობა მღვდელობის წოდებისა.

(გაგრძელება *)

ისტორიულ საბუთებში, რომლებშიაც გამოხატულია ეკკლესიური ცხოვრება და წმ. მამების ნაწერებში მღვდელს დიდი მნიშვნელობა და პატივი ეძლევა. წმ. მამები დიდ მნიშვნელობას და პატივს აძლევდენ მღვდელობის წოდებას და ამით სურდათ ჩაეგონებიათ ერის კაცთათვის, რომ უკანასკნელნი მოპყრობოდენ მღვდელს ღირსეული პატივის-ცემით და მორჩილებით, ხოლო, მეორეს მხრით, ცხადად უხატავდენ თვითონ მღვდლებს და იმ პირთ, რომელნიც ემზადებოდენ მღვდელობის სამსახურისათვის, რომ მათ განსაკუთრებული სიფრთხილით, ყურადღებით და კრძალვით მოეკიდნათ ხელი თავის სამსახურისათვის.

მღვდლის პატივის-ცემა ცხადათ არის გამოხატული მოციქულთა დადგენილობის 56 მუხლში, რომლის ძალით მღვდლის შეურაცხმყოფელი გაძევებულ უნდა იქმნეს ეკკლესიიდგან. „ვინც შეურაცხ-

*) იხ. «მწყემსი» № 12, 1891 წ.


ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყოფს მღვდელს ანუ მთავარ-დიაკონს, გაძევებულ იქმნების ეკკლესიის ერთობისაგან". მოციქულთა დადგენილობის ძალით მღვდელობას უპირატესობა აქვს მინიჭებული მეფობაზე. «Თუმცა წინააღმდეგი მეფეთა, ვკითხულობთ მოციქულთა დადგენილობაში, ღირსია დასჯისა, თუ გინდ იგი იყოს ძე ანუ მეგობარი, მით უმეტეს ღირსია დასჯისა ის, რომელიც წინააღუდგება მღვდელს? მღვდელობა უმაღლესია მეფობაზე, რადგან პირველი მოღვაწეობს სულისათვის, ამიტომ უმეტესად უნდა დაისაჯოს ის, ვინც გაბედავს მღვდლის წინააღმდეგობას». მოციქულთა დადგენილობაში მღვდელი შედარებულია მშობლებთან, მაგრამ პირველს უფრო მეტი პატივი აქვს მიცემული, ვინემ მშობლებს. Ხორციელ მშობლის შესახებ საღმრთო წერილში სწერია: პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ (გამოს. 20, 12), და „ვინც შეურაცხჰყოფს მამასა ანუ დედასა, სიკვდილით მოჰკვდეს (გამოს. 21, 16). Ამ სიტყვებით საღმრთო წერილი გვამცნებს, რათა უმეტესი პატივით და მორჩილებით მოვეპყრათ მღვდლებს, როგორც ჩვენს კეთილის მყოფელთ და შუამავალთ Ღვთის წინაშე, რადგან მათ გაგვბანეს ჩვენ წყლით, აღგვავსეს სულის წმიდით, გვასაზრდოვეს სიტყვით და სწავლით, ზიარ-გვყვეს ჩვენ Იესო Ქრისტეს სისხლისა და ხორცისა, გაგვწმინდეს ცოდვებისგან, ზიარ გვყვეს ჩვენ წმ. და საღმრთო ევხარისტისა და შეგვაერთეს Ღმერთთან? Ძალიერ უნდა მოვეპყრათ მათ და პატივი ვსცეთ, ვინაიდგან მღვდლებს აქვსთ მინიჭებული Ღვთისგან უფლება სიცოცხლისა და სიკვდილისა, უფლება განსჯისა და დასჯისა ცოდვილთა სიკვდილით და მიტევება, რომელთაც მოინანეს თავის ცოდვები». «Კეთილს მწყემსს, სწერია მოციქულთა დადგენილობაში, ერის კაცმა პატივი უნდა სცეს, უყვარდეს იგი, ეშინოდეს მისი, როგორც უფროსისა, როგორც მეუფისა, როგორც Ღვთის მღვდელ-მთავრისა, როგორც მართლ-მადიდებლობის მასწავლებლისა; ვინც ისმენს მღვდლისას, ისმენს იგი Ქრისტეს სიტყვას, ვინც უარჰყოფს მღვდელს, ის უარსა ჰყოფს Ღმერთსა და მამასა» (Ლუკ. 10, 16). Ამისთანა შენიშვნები მრავალია მოციქულების დადგენილობაში. Ყველა ამ დადგენილობათა შორის დიდი პატივი აქვს მინიჭებული მღვდელობას, მღვდელობა არის უმაღლესი სამსახური. Თუმცა მოციქულთა დადგენილობას არა აქვს საკანონო მნიშვნელობა და მათში დაწერილს არა აქვს ძალა ეკკლესიის კანონისა, მაგრამ ყოველივე მას, რასაც ჩვენ ამ დადგენილობაში ვკითხულობთ, მნიშვნელობა ჰქონდა ეკკლესიურ სამსახურში პირველ საუკუნოებში, და ამ დადგენილობათა შორის მოხსენებული განკარგულებანი დაფუძნებულნი იყვნენ ზეპირ-გადმოცემაზე, რომელიც არსებობდა ეკკლესიაში და რომელმაც შემდეგ მიიღო ეკკლესიურ ჩვეულებათა მნიშვნელობა.

Ეკკლესიის ძველ მამათა შორის მღვდლის პატივის ცემას უმეტესად გვამცნებს კართაგენის ეპისკოპოსი წმ. Კიპრიანე. Მის ეპისტოლეთა შორის არის ორი ეპისტოლე, რომელიც გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ პატივი არ უციათ Ღვთის მოსამსახურისათვის. Ორივე ამ ეპისტოლეში წმ. მამა ამტკიცებს დიდს ღირსებას Ღვთის მოსამსახურეთა, რომელთაც უნდა დაემორჩილოს ყოველი კაცი, ხოლო მათი პატივის უცემლობა ნიშნავს უპატივცემულობას Ღვთისას, რომელიც აყენებს მღვდლებს ეკკლესიაში. Თავის სიტყვებს წმ. Კიპრიანე ამტკიცებს მაგალითებით და დაბადების სიტყვებით: «Უფალი Ღმერთი იტყვის: და იყოს თუ ვინმე კაცი ამპარტავანებდეს, და არა ერჩდეს სიტყვასა მღვდლისასა, რომელი იგი დგეს მსახურად სახელისა მის უფლისა შენისასა, ანუ თუ მსაჯულთა მათ, რომელნი დგეს მათ ჟამთა შინა, სიკვდილისა თანამდები კაცი იგი სიკვდილითა მოკვდინ, რათა ყოველსა ერსა, რომელსა ესმეს, ეშინოდენ, და არღარა ურჯულოებდენ მერმე (17, 12.13). Და რომ ეს საღმრთო სიტყვები ჭეშმარიტებით და დიდებით იყვნენ წარმოთქმულნი მღვდელთადმი პატივის ცემის შესახებ, სჩანს იქიდგან, რომ Კორეი, Დათანი და Აბირონი, რომელნიც ემსახურებოდენ Აარონს, და რომელთაც გაბედეს Აარონის წინააღმდეგობა და მედიდურობა მის წინაშე, ჩანთქა მიწამ და ამგვარად დაისაჯნენ იგინი წინააღმდეგობისათვის. Და არა მარტო ისინი დაისაჯნენ, არამედ სხვანიც, ორას ორმოც-და-ათი კაცი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ამ წინააღმდეგობაში. Იგინი ჩანთქა ცეცხლმა, რომელიც მოვლენილ იქმნა Ღვთისაგან, რათა ყველას შეეტყო, რომ მღვდლების შეურაცხმყოფელთ სჯის ღმერთი, რომელიც ადგენს მათ. Მეფეთა წიგნში ნათქვამია აგრეთვე, რომ როცა Ისრაილებმა დაამცირეს მღვდელი სამუილი მისი მოხუცებულობისა გამო, Ღმერთმა მრისხანებით ჰრქვა: რამეთუ არა შენ შეურაცხგყვეს, არამედ მე შეურაცხმყვეს.

ივერიელი

(ა მეფეთა 8—7):... აი რას ამბობს სამსონი მღვდელობის ღირსების შესახებ: «ყოვლითა გულითა შენითა გრწმენეს უფალი, და მღვდელთა მისთა პატივ ეც. ყოვლითა ძალითა შენითა შეიყვარე, რომელმან შეგქმნა შენ, და მსახურთა მისთა ნუ დაუტევებ; გეშინოდეს უფლისა, და ადიდე მღვდელი. (ზირაქი 7, 31—33). ეს სიტყვები ახსოვდა ნეტარ პავლეს და როცა მას ჰკითხეს: მღვდელთ-მთავარსა ღმრთისასა აგინებ? პავლემ მიუგო მათ: არა ვიცოდე, ძმანო, ვითარმედ არს ეგე მღვდელთ-მთავარი; რამეთუ წერილ არს: მთავარსა ერისა შენისასა არა რქვა ბოროტი (საქ. მოც. XXIII, 5). თვითონ უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მეუფე, მსაჯული და ღმერთი ჩვენი დღემდე თავის წამებისა პატივით ეპყრობოდა მღვდელთ-მთავრებს და მღვდლებს, თუმცა ამ უკანასკნელთ არა ჰქონდათ არც შიში ღვთისა და არც უწყოდენ ქრისტე. ერთხელ, როცა განკურნა კეთროვანი, ჰრქვა მაცხოვარმა: „წარვედ და უჩვენე თავი შენი მღვდელსა და შესწირე შესაწირავი შენი» (მათ. 8, 4). მაცხოვარი, მორჩილებისა გამო, უწოდებდა მღვდელს მას, რომელსაც იგი იცნობდა როგორც მკრეხელსა ეკკლესიისასა. აგრეთვე, როცა ვნების დროს მაცხოვარს შემოჰკრეს ყვრიმალში და უთხრეს: ესრედ სიტყვას უგებ მღვდელთ-მთავარსა? მაცხოვარს არ მიუგია რაიმე უკადრისი მღვდელთ-მთავრისათვის, მხოლოდ უჩვენა მათ, რომ იგი დამნაშავე არ არის და რქვა: უკეთუ ბოროტსა ვეტყოდე, ჰსწამე ბოროტისათვის: უკეთუ კეთილსა, რაისათვის მცემ? (იოან. 18, 22—23). მაცხოვარი პატივსა სცემდა ცრუ მღვდლებს, ხოლო ამით გვამცნებს ჩვენ, რათა კანონიერი და სრული პატივი ვსცეთ ჭეშმარიტ მღვდლებს.

მღვდელობის სამსახურის დიდს ღირსებას ცხადათ ამტკიცებენ მსოფლიო მამანი IV საუკუნისა, წმ. გრიგორი ღვთის-მეტყველი და განსაკუთრებით წმ. იოანნე ოქროპირი.

წმ. გრიგორი ღვთის მეტყველი არაფერს არ ამბობს მღვდელობის სამსახურის ღირსების შესახებ და არც იმას ამტკიცებს, თუ რა პატივით უნდა ეკიდებოდენ ერის კაცნი მღვდლებს, მხოლოდ ეს წმ. მამა ცდილობს ჩააგონოს სულიერ მწყემსთ და იმ პირთ, რომელთაც სახეში აქვსთ მიიღონ მღვდელობა, თუ რამდენად დიდი და საღმრთო საქმეა—მღვდელობა,—სურს ჩააგონოს მათ, რომ ხელი არ მოჰკიდონ მღვდელობას აჩქარებით და მოუფიქრებლად. ამ დარიგებას გრიგორი ღვთის-მეტყველი იძლევა იმ სიტყვაში, რომელშიაც ამართლებს თავის წასვლას პონტში მღვდლად ხელდასხმის შემდეგ. უმთავრეს მიზეზად მისა, რომ მან თავიდან აიცილა მღვდელობა და ნაზიანზინიდამ განეშორა, როდესაც ის მის უნებურად მღვდლად აკურთხეს, წმ. გრიგორი ასახელებს მღვდელობის ხარისხის უღირსობას, მას თავის თავი ამ სამსახურისათვის ღირსად არ მიაჩნია და არც მომზადებული იყო ამ დიდი მოვალეობისათვის. მისი აზრით, ვისაც მღვდელობა ჰსურს, მას უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული თვისებანი, იგი მაღლა უნდა იდგეს გონებით და ზნეობით. «მე მრცხვენია, ამბობს იგი, როცა ზოგიერთნი, რომელნიც სხვებისაგან ბევრით არაფრით განირჩევიან, დაუბანელი ხელით, როგორც იტყვიან, ბიწიერი სულით ხელს ჰკიდებენ ამ უუწმიდესს საქმეს და, სანამ ღირსი გახდებოდენ მღვდელობისა, შერბიან საკურთხეველში, მოქმედობენ ტრაპეზის გარშემო, და ეს წოდება მათ მიაჩნიათ არა ქველმოქმედების სახედ, არამედ ამ სამსახურს ისინი უცქერიან როგორც ცხოვრების სახსარს. იგინი ფიქრობენ, ვითომც ეს სამსახური პასუხის საგებელი არ იყოს და მღვდელს, მათის აზრით, შეუძლია თავის მოქმედების შესახებ პასუხი არავის მისცეს. ვის შეუძლია მოამზადოს ჭეშმარიტების მცველი, რომელიც უნდა იდგეს ანგელოსებთან ერთად და ადიდებდეს მთავარ-ანგელოსებთან, რომელმანც უნდა შესწიროს მსხვერპლი ზეციურ სამსხვერპლოზე, აღადგინოს სახე ღვთისა, იმოქმედოს ზეციური ქვეყნისათვის, იყოს ღმერთი და ღმერთად ჰქმნას სხვანი? მე ვიცი, ვისი მოსამსახურენიცა ვართ, სად ვართ დადგენილნი, და საით ვამზადებთ სხვათა. ვიცი დიდება ღვთისა და კაცთა უძლურება, და მასთან ძალაც. ზეცა მაღალია და ქვეყანა ღრმა. (იგავ, 25, 3). და რომელი ცოდვილი გაჰბედავს ალვიდეს ზეცად? უაღრესობა, სიმაღლე, ღირსება, წმ. არსებანი, რომელნიც ძლივს-ძლიობით იტევენ თვის შორის ღვთის ბრწყინვალებას, რომელსაც ჰფარავს უფსკრული, რომელსაც, როგორც უუწმიდესს და ქმნილებათა უმეტესი ნაწილისათვის მიუწდომელს ნათელს, უკრთის ბნელი, რომელიც ყოველივეში და ყოველივეს გარეშე არის, რომელიც არის უმაღლესი კეთილი და უმაღლეს ყოველი კეთილისა. ასეთი დიდ მნიშვნელობიანია საგანი ჩვენ სურვილთა და მისწრაფებათა!

ასრეთი უნდა იყოს ეკკლესიის მსახური, მანუგეშებელი სულისა! და მეშინია, რომ არ შემიკრან ფეხები და ხელები და არ გამაძეონ საქორწინე დარბაზიდგან, როგორც არა მქონებელი საქორწინო ტანთსაცმელისა, და უსირცხვილოდ შემსვლელი იქ მყოფთა თანა». სანამ არა ვსძლევ გულის ვნებათა, სანამ არ განვიწმენდავ გონებას, სანამ სხვებზე უფრო არ დავუახლოვდები ღმერთს, მანობამდე არ შემიძლია ვიფიქრო, რომ შევიძლებ ზრუნვას კაცთა სულისათვის და ვიშუამდგომლებ ღმერთსა და კაცთა შორის, რაც მღვდლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს.

## ახალი რედაქცია და გამომცემელი „Новое Обозрѣніе“-სი.

ამას წინედ ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს, რომ გაზეთი «Новое Обозрѣніе» ისყიდება და სხვა პატრონის ხელში გადადის-თქო. დღეს ეს ხმა გამართლდა. ხსენებული გაზეთი უყიდნია თ. ვ. მ. თუმანიშვილს, რომელიც ამ გაზეთის რედაქტორად იქნება და გამომცემლობა უკისრნია თ. ქ. მ. თუმანიშვილს. 5 ამა თთვიდამ ეს გაზეთი ახალი რედაქციის ხელმძღვანელობით გამოდის. ამ გაზეთის ახალი რედაქციისაგან გამოცემულ პირველ ნომერში მშვენიერი მოწინავე სტატიაა, რომელშიაც რედაქცია აცხადებს, თუ რა მიმართულებას მიჰყვება იგი შემდეგში და რა გზას დაადგება. მოგვყავს ამ სტატიის ზოგიერთი ადგილები:

ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, გვსურს, განაგრძობს მეთაური წერილი, რომ ჩვენმა გაზეთმა ჭეშმარიტად აღნიშნოს ყოველი ახლად თავ-აჩენილი საჭიროება კავკასიის მცხოვრებლებისა, რასაკვირველია, სარწმუნოებისა, ეროვნებისა, ხელობისა და სხვათა განურჩევლად. კავკასიის მცხოვრებნი მეტად სხვა-და-სხვა გვარნი არიან და ყოველის ცალკე ნაწილის ინტერესი არამც თუ მეორეს არ უდგება მხარში, არამედ სრულიად მისი წინააღმდეგიც-კია. ამასთან სათქმელია ისიც, რომ ყოველ ნაწილის ინტერესი ყურადღების ღირსია და უფლებაც აქვს ეს ყურადღება მოიკითხოს სხვა ნაწილებისაგან. უარს ვერ ვუყოფთ იმასაც, რომ ამ ნაწილებს საერთო საჭიროება, საერთო აზრი, საერთო საქმეცა აქვთ და ეს უნდა იყოს, ჩვენის აზრით, უმთავრესი საგანი ადგილობრივის გაზეთის მსჯელობისა. ამ ცალ-ცალკე ნაწილების ინტერესთა შეხლა-შეჯახების დროს გაზეთი ვალდებულია იკისროს მძიმე, მაგრამ საპატიო შრომა მათის მორიგებისა, ურთიერთის შორის სამართლიანის შეთანხმებისა. საზოგადოებრივი ინტერესები, ჩვენის აზრით, გარეგანი კი არ უნდა იყოს ერთმანეთთან შეთავსებულ-მორიგებული, ყოველ ნაწილის ბუნებრივი მოთხოვნილება უარ-ყოფილ კი არ უნდა იქმნას, არამედ მათი ურთიერთობა უნდა დაემყაროს ერთმანეთის სულიერსა და მატერიალურს ნათლად გაგებულს სარგებლობაზედ, ან, ესეც რომ არ იყოს, ერთმანეთი გულწრფელად უნდა შეიშვნიონ და შეიწყნარონ მაინც.

უნდა აღძრას ხოლმე საერთოდ საინტერესო საგნები, საინტერესო საზოგადოების უმთავრესობისათვის, ისარგებლოს ხოლმე ყოველ დღიურის ამბებით და გამოარკვიოს მთელის საზოგადოებისათვის საყურადღებო საგანი, ხანდახან-კი ისეც აღნიშნოს ის ამბები, რასაც საზოგადოებრივი ცხოვრება მოიგდებს პირზედ და რაც თვითვე დააფიქრებს მკითხველს.

იმედი გვაქვს, ასეთი პროგრამა უფრო შეასუსტებს საზოგადოებრივად არა სასურველს მისწრაფებას ტარტიუფებისა, ფამუსოვებისა და სხვა იმის მსგავს წარმომადგენელთა, რომელთაც თავისი ცხოვრება უკვე მოუშამათ, ვიდრე პარადობის შემლახველი კამათობა, რომელიც ნახევარს პროვინციის გაზეთებისას ლიტერატურის მაღლად და ღონედ მიაჩნიათ. ჩვენი სურვილი ის არის, რომ გაზეთი ჩვენი საზოგადოების გონიერ ნაწილის ორგანო იყოს, და ამ საზოგადოებაზედ-კი ჩვენ უფრო კარგის აზრისანი ვართ, ვიდრე ისინი, რომელნიც თავის მკითხველთა გართობას ძალებას მიმგიალობითა სცდილობენ. ჩვენ ისა გვსურს, რომ ჩვენის პროგრამით განცხოველებული სიტყვების სრულად და მიხლა მოხლა-კი არ გამოვიწვიოთ, არამედ განცხოველებული აზრი აღვძრათ, განცხოველებული საქმე, და ამისათვის-კი, ჩვენის ფიქრით, საკმარისია მარჯვედ აღვნიშნოთ ის მახლობელი იდეალები, რომელსაც უნდა ეტანებოდეს საუკეთესო ნაწილი საზოგადოებისა ყოველ დღიურ, პრაქტიკულ მოღვაწეობის დროს.

ამ უკანასკნელს სიტყვებს იმიტომ ვამბობთ, რომ გაზეთი, ბუნებით, ჩვენის აზრით, განყენებულ აზრთა გასავრცელებელ კათედრობას ვერ გასწევს, არამედ ყურადღებით და გულდადებით უნდა უგდოს ყური საზოგადოების მაჯის ცემას და ყოველი ცვლილება მაჯისა აღნიშნოს, თუ ამასთან ყოველთვის შეიძლებს საერთო

სურვილის გაგებას, გამოსთქვამს და აღნიშნავს იმის აზრსა და მნიშვნელობას, საერთო სკეთილდღეო გზის ჩვენებას შეიძლებს, მაშინ თავისი მოვალეობა, ჩვენის აზრით, სრულიად მოხდილი ექნება.

ჰეშმა იტად კეთილი აზრი არის წარმოთქმული ახალი რედაქციისაგან. ღმერთმან ინებოს, რომ ყველა ეს დაპირება და სიტყვები საქმედ ქცეულიყოს...

ჩუჲზ წელში ჩვენში სასწავლებლის წესდება შეიცვალა, მასწავლებლებს ჯამაგირები მოუმატეს და რიგიანი მასწავლებლები უნდა მოენახათ. მაგრამ კარგა ხანამდის ისევ ძველი მასწავლებლები დასტოვეს, რომელთაც დიდი ჯამაგირები დაენიშნათ. სწავლების საქმე წინ არ წაწეულა, ვიდრემდის ძველი მასწავლებლები სულ არ იქმნენ დათხოვნილნი. თუ «Новое Обозрѣніе»-ს რედაქციამ თავიდამ არ მოიშორა ის ზოგიერთი ცრუპენტელა თანამშრომლები და რეპორტერები, რომელთაც სიმართლე ერთ კიტრზედ მეტად არ ულირს და რომელნიც კალამს არ გაანძრევენ, თუ მათ პირადი ანგარიშები არ აიძულებს თავის მოპირდაპირეთა წინააღმდეგ სიცრუის წერას და ბეზღობას, ისე «Новое Обозрѣніе» რიგიან სახელს და საზოგადოების ნდობას ვერ დაიმსახურებს...

## გურია-სამეგრელოის ეპარქიის კათედრის სამუდამო ადგილი.

ამას წინედ გურიის თავად-აზნაურობამ თხოვნა შეიტანა უწმიდეს სინოდში და ითხოვა, რომ გურია-სამეგრელოის ეპარქიის კათედრა გადაეტანათ გურიის ერთ-ერთ საშუალო ადგილს. სამეგრელოს თავად-აზნაურებმაც ასეთივე თხოვნა შეიტანეს უწმიდეს სინ ოდში და ითხოვეს, რომ აღნიშნული ეპარქიის კათედრა ფოთიდგან გადმოეტანათ ან ახალ-სენაკში და ან მარტვილში. ამავე დროს ლეჩხუმის მაზრის სამღვდელოებამ სთხოვა უწმიდეს სინოდს, რომ ხსენებული მაზრა ისევ იმერეთის ეპარქიისათვის მიეწერათ. ყველა ამ თხოვნების შესახებ უწმიდესმა სინოდმა ცნობა და თავის აზრი მოსთხოვა საქართველოს ექსარხოსს, მთავარ-ეპისკოპოსს პალლადის. მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს პალლადის ამ საგნის შესახებ შემდეგი მოხსენება გაუგზავნია უწმიდესი სინოდისათვის: «ქალაქი ფოთი არის დასამხარი ადგილი როგორც გზებით, ისე ეპისკოპოსის საცხოვრებელი ბინით და აქედგან კათედრის გადატანა ოზურგეთში, ახალ-სენაკში ანუ მარტვილში მოითხოვს უბრალო ხარჯს და მასთან არც მოსახერხებელია, მით უმეტეს რომ არც ოზურგეთში და არც ახალ-სენაკში არ მოიპოვება შესაფერი შენობა არც ეპისკოპოსისათვის და არც მისი კრებულისათვის და მასთინ ახალ-სენაკში არ იმექონება არც შესაფერი ეკკლესია მღვდელმთავრის მსახურებისათვის. ქუთაისის გუბერნიის მაზრების იმერეთის და სამენგრელოს ეპარქიების შორის დანაწილება, რომელიც 1885 წელში უმაღლესად დამტკიცდა, უფრო მოსახერხებელი და სახელდახელოა ადგილობით ეპარქიის მთავრობასთან მისასვლელ მოსასვლელად და მაზრების ასეთ დანაწილებას ამ ექვსი წლის განმავლობაში შეეთვისენ მცხოვრებნიც და მასთან დადგინდა უფრო სწორი დამოკიდებულება სამღვდელოებასა, სამწყსოსა და ადგილობით ეპარქიის მთავრობის შორის, ხოლო საეკკლესიო საბუთები უფრო სწორედ და კანონიერად დგინდებიანო. ამ მაზრების ხელახალი დანაწილება, უეჭველია, გამოიწვევს ზოგიერთ ახალ დაბრკოლებათ, როგორც მიმოსვლის, ისე საეკკლესიო საბუთების წარმოების და წარდგენის დროს და ყოველივე ეს დააბრკოლებს საქმის წარმოებას; გარდა ამის ლეჩხუმის მაზრის იმერეთის ეპარქიაში შერიცხვა მოუხერხებელია, რადგან ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი უკვე სავსეა მოწაფეებით და ლეჩხუმის მაზრის იმერეთის ეპარქიაში შერიცხვით ამ სასწავლებლის მოწაფეების რიცხვი იმატებს და სასწავლებლის შენობა მათ ვერ დაიტევს“. უწ. სინოდს მოუსმენია მისი ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის ამგვარი მოხსენება და, როგორც დღეს გაზეთები გვაცნობებენ, დაუდგენია: «გურია-სამეგრელოს თავად-აზნაურთა და ლეჩხუმის მაზრის სამღვდელოების თხოვნები დარჩეს უყურადღებოდ». ამ საგნის შესახებ გაეგზავნოს უქაზი ქუთაისის გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერნიის სამმართველოს გამოსაცხადებლად გურია-სამეგრელოის თავად-აზნაურთათვის.

ამ სახით მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის პალლადის მოხსენების და უწმიდესი სინოდის განჩინების ძალით გურია-სამეგრელოის ეპარქიის კათედრა სამუდამოდ რჩება ისევ ქალაქს ფოთში.

---

## სოფლის მღვდლის მოგონებიდგან მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს პენზის და სარანსკის მთავარ-ეპისკოპოსზედ.

პენზის ეპარქიალურ უწყებებში დაბეჭდილია ერთი სოფლის მღვდლის მოგონება, რომელშიაც ცხადად იხატება მთავარ-ეპისკოპოსის ვარლამის ვინაობა და მოღვაწეობა. აი რას ამბობს ეს მღვდელი: «ვარლამი ყველას სასტიკ კაცად მიაჩნდა, მაგრამ ეს ტყუილია. მათი მეუფება მეტის-მეტი მოწყალე იყო. მეორმოც-და-ათე წლის სოფლის სამღვდელოება გაუნათლებელი იყო. როცა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ვარლამი დაინიშნა პენზის ეპარქიის კათედრაზე, იგი მაშინვე შეუდგა მისდამი რწმუნებული სამღვდელოების განათლებას. როცა ეპარქიის დასახედავად დადიოდა, მათი მეუფება ცდიდა ეკკლესიის ყველა კრებულს. მათ, რომელნიც რაიმე უცოდინარობას გამოიჩენდენ თავიანთ სამსახურის შესახებ, შტრაფავდა ფულით ეპარქიალური სამზრუნველოის სასარგებლოდ. სამღვდელოებამ საჭიროდ დაინახა მოეპოვებია კატეხიზმო, დოღმატიკა, ისტორია და სხვა სახელმძღვანელო წიგნები. როგორც მთავარ-დიაკვნად ხელდასხმის ისე მღვდლად კურთხევის დროს ყველას ეკზამენი უნდა დაეჭირა. სწორედ ამ ეკზამენების გამო უწოდეს მათ მეუფებას ვარლამს სასტიკი.

მაგრამ ის, როგორც ზევითა ვსთქვი, სრულებით სასტიკი კაცი არ ყოფილა, პირიქით მათი მეუფება მეტის-მეტი მოწყალე იყო. მათ მეუფებას განსაკუთრებით უყვარდა თეთრი სამღვდელოება. ერთხელ ეკზამენზე მათმა მეუფებამ მასწავლებლებს უამბო ერთი შემთხვევა. ჩვენ, მოწაფეები ყურს ვუგდებდით.—ერთხელ ვიღაცა (გვარი დამავიწყდა) მემამულემ, ბრძანა მღვდელ-მთავარმა, შემოსწირა რამოდენიმე ნაჭერი მაუდი, რომ ჩემი მგალობლებისათვის ტანისამოსი შეეკერათ. მე ვუბრძანე ეკონომს ამ შეწირულების მიღება, მაგრამ მაშინვე მივხვდი შემომწირველის განზრახვას. ტანისამოსის შეკერვის დროც მოვიდა. ეკონომმა მომახსენა, რომ მაუდი მზად არისო. მაგრამ მე ვუბრძანე, შემოწირული მაუდი არ ეხმარათ, არამედ სხვა მაუდი ეყიდნათ და შეეკერათ. რამოდენიმე თთვის შემდეგ მაუდის შემწირველისაგან მე მივიღე წერილი, რომელიც მომიტანა მისმა მოსამსახურემ. ამ წერილში ხსენებული მემამულე მთხოვდა, რომ მე მისი სოფლის მღვდელი გადამეყვანა სხვა ადგილს. აი რა ყოფილიყო მაუდის შეწირვის მიზეზი! მე მაშინვე ვუბრძანე ეკონომს, რომ ამ მემამულესათვის დაებრუნებია მისი მაუდი მისივე მოსამსახურის ხელით. შემდეგ მე დავიბარე მღვდელი და მისგან შევიტყე საქმის გარემოება და, რადგან იგი არაფერში დამნაშავე არ იყო, ისევ თავის ადგილზე დავსტოვე.

ერთხელ მაღალ ყოვლად სამღვდელომ ვარლამმა აკურთხა ერთი სოფლის ეკკლესია, რომელიც აღაშენა ერთმა მემამულე ქალმა. როცა სადილად დასხდენ, მათ მეუფებას ძლიერ გაუკვირდა, რომ მისი მეუფების თანამწირველთაგან არავინ არ იყო მიწვეული სადილზე, გარდა მ. მელარისა, რომელიც თან ახლდა მათ მეუფებას.—ეს რას ნიშნავს? ჰკითხა მათმა მეუფებამ მასპინძელს.—ვიფიქრე, რომ თქვენი მეუფება დამცირებად მიიღებდა სოფლის მღვდლებთან ერთად პურის მირთმევას. ამ სიტყვებმა მეტად გააჯავრა მათი მეუფება.—უფლის ტრაპეზზედ ჩემთვის დამცირება არ არის, როცა მათთან ერთად მივიღებ ქრისტეს სისხლსა და ხორცსა, და ნუ თუ მემამულის სტოლზე ჩემთვის ეს დამცირება იქმნება: მითხარით, რისთვის მაწყენიეთ ასე სასტიკად მე მოხუცებულს, რომელმაც შრომა მივიღე და ვაკურთხე თქვენგან აღშენებული ეკკლესია. ღმერთმა დამიფაროს, რომ ეს ჩავიდინო. და დასამტკიცებლად იმისა, რომ მე დამცირებად არ მიმაჩნია პურის ჭამა ჩემ თანამოძმეებთან, რომელნიც ძალიან მცირე რამეთი განსხვავდებიან მღვდელ-მთავრისაგან, მე მივდივარ პურის საჭმელად მრევლის მღვდელთან. მათი მეუფება წაბრძანდა, თუმცა მასპინძელი ქალი მზად იყო მოეწვია ყველა მღვდლები.

მათი მეუფება ვარლამი ზამთარში ხშირად დასეირნობდა ხოლმე ქალაქში მარხილით. ცივი დღე იყო. როცა მათი მეუფება მიუახლოვდა თავის სასახლის აივანს, ბნელოდა, ყოვლად სამღვდელომ შენიშნა ვიღაცა მთვრალი კაცი, თოვლზე მწოლარე. ეს იყო მღვდელ-

მთავრის მგალობელი გ. ოხ, მე სამაგეღრო, წარმოსთქვა მღვდელ-მთავარმა და უბრძანა წაეყვანათ გ. დილით სემინარიის ინსპექტორი გამოეცხადა უყოვლად სამღვდელოს და მოახსენა, რომ სემინარიაში ყოველივე წესიერად არისო. მ. ინსპექტორმა მიიღო ფიცხელი შენიშვნა, რომ ხსენებული მგალობელი მათმა მეუფებამ გუშინ მთვრალი ნახა. და უბრძანა ინსპექტორს, რომ სამაგალითოდ დაესაჯათ გ. სემინარიის სამმართველომ მაშინვე დაადგინა ჟურნალი, რომლის ძალით უნდა გამოერიცხათ გ. ცუდი ყოფაქცევით. ბოლოს ჟურნალი წარუდგინეს მის მეუფებას დასამტკიცებლად. მაგრამ მღვდელ-მთავარს საწყენად დაურჩა ასეთი სამაგალითო დასჯა.—მოწაფის ცუდი ყოფაქცევით გამორიცხვა შეუძლია ჩემს მეეტლესაც, რომ უფლება ჰქონდეს, ბრძანა მღვდელ-მთავარმა. ეს გონიერება კი არა სისულელეა. ეს სიკვდილია და არა დასჯა. ზნეობით დაცემული უნდა გაასწოროთ—აი რა არის თქვენი მოვალეობა, უბრძანა უყოვლად სამღვდელოს ინსპექტორს:—საჭიროა გაასწოროთ კაცი, უნდა გაასწოროთ გაბრუნდებული ხე. და მხოლოდ მაშინ იქმნებით ძენი ზეცისანი. საჭირო შეიქმნა ჟურნალის შეცვლა. ახალს ჟურნალში დადგენილ იქმნა: დამნაშავე ჩამოტარებულ იქმნეს სემინარიის ყველა კლასებში, წაკითხულ იქმნეს მისი დამნაშაობა და დაეკრას 5—10 წკეპელი. ეს დადგენილობა დაამტკიცა მათმა მეუფებამ და სისრულეშიაც მოვიდა.

ერთხელ მღვდელ-მთავრის მისაღებ ოთახში შევიდა ორი გლეხი.—რა გინდათ? ეკითხება მათ მღვდელ-მთავარი.—საჩივარი გვაქვს ჩვენ ხუცესზედ (Попъ) და მიართვეს საჩივარი.—რომელ ხუცესს უჩივით? მწვალებელთ ხუცესს? მართლ მადიდებელი ხუცები არ არიან, არამედ მღვდლები. რას უჩივით?—იმას, რომ ის მუდამ გვაგინებს, ქვეყნის-მჭამლებს გვეძახის. მე ერთხელ ბაზარში ქუდი მომხადა თავიდგან და მიწაზე დაჰკრა.—ალბად შენ თავი არ დაუკრავს მისთვის?—ჰკითხა უყოვლად სამღვდელომ.—თავს რად დავუკრავდი, როცა ჩვენ და მას მტერობა გვაქვს ერთმანეთში.—მტერობა გაქვსთ თქვენ იმასთან!—ახლავე წადით და შეურიგდით მასს, როგორც სულიერ მამას. გლეხებმა უარი სთქვეს შერიგებაზე.—ეხლა მეც ვხედავ, ბრძანა მღვდელ-მთავარმა, რომ მღვდელს გონიერად უწოდებია თქვენთვის ქვეყნის-მჭამლები. თქვენ მოუხეშელი—ქვეყნის მჭამლები ყოფილხართ, თქვენ მთავარ-ეპისკოპოსსაც არ უგონებთ. და მთავარ-ეპისკოპოსიც რომ სცხოვრებდეს თქვენს სოფელში, იმასაც რაიმე უსიამოვნებას მიაყენებდით, როგორც უშვრებით თქვენს მღვდელს. გლეხები კიდევ უარზე იდგნენ, ამბობდნენ, რომ ჩვენ გვრცხვენია უბრალოდ უკან დაბრუნება. ხუცესი მაშინ სულ აგვიკლებსო.—თქვენ რომ ქვეყნის არ შეგრცხვესთ, განა მეც იმიტომ უნდა დავიჭირო თქვენი მხარე? დაიკარგენით აქედგან!—გლეხები არ მიდიან. მღვდელ-მთავარი მეტის-მეტად გაცეცხლდა, მან ესროლა გლეხებს მათი საჩივარი, შევიდა თავის მოსასვენებელს ოთახში და უბრძანა მოსამსახურეს, რომ გლეხები პოლიციაში გაეგზავნა, ანუ იქ მოეხმო პოლიციის მოსამსახურე.

მღვდელ-მთავარს ჰყავდა ორი ძმისწული,—ერთი სწავლობდა ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელში, მეორე კი სემინარიაში. ერთხელ ერთმა გლეხმა თხოვნა მიართვა მღვდელ-მთავარს და სთხოვა, რათა მათ მეუფებას ნება მიეცა მისთვის ჯვარის წერისა, ვიდრემდის სრულ-წლოვანი შეიქმნებოდა. გლეხს არ უნდოდა ეცადა დილამდე, როცა მათი მეუფება გადმოცემდა ხოლმე ქაღალდებს რეზოლიუციით. ვიღაცამ ასწავლა გლეხს, რომ ის მიქცეულიყო მღვდელ-მთავრის ძმისწულისადმი, რომელსაც ადვილად შეეძლო მოენახა მისი თხოვნა რეზოლიუციით და მიეცა გლეხისათვის. გლეხმა ამ საქმისათვის მღვდელ-მთავრის ძმისწულს მისცა ორი აბაზი. სწორედ სამაგიერო მიიღო მან ამ ფულისათვის. მათმა მეუფებამ როგორღაც შეიტყო თავის ძმისწულის მოქმედება, მოატანინა მოსამსახურეს წკეპლი და სამაგალითოდ გაწკეპლა ოქროს მოყვარე ფილოსოფოსი.

მათ მეუფებას არ უყვარდა ჯაშუშობა: ეს ყველა ბლაღოჩინებმა იცოდნენ და მორიდებულნი იყვნენ, რომ მღვდელ-მთავარს მათთვის ჯაშუში არ ეწოდებია.

ეროვნული

## პასუხი ქართლოსის ძეს.

(ჩვენი სამღრთო და საეკკლესიო წიგნების მდგომარეობის მოკლე მიმოხილვისათვის).

ამას წინედ ჩვენი გამოცემის ერთ ნომერში დავბეჭდეთ მწარე ფიქრები, რომელშიაც აღვნიშნეთ ეხლანდელი დროის ზოგიერთი სამწუხარო მოვლენანი. სხვათა შორის გამოვსთქვით ჩვენი მწუხარება ეხლანდელი დროის ზოგიერთ ფარისეველ ლიტერატორებზედ, რომელნიც სიტყვით რომ ასე ამბობენ და ქადაგებენ, საქმით სულ სხვანაირად იქცევიან. უფრო სამწუხაროდ ის მივიჩნიეთ, რომ ფრანგები და სომხები გაგვიჩნდნენ გზის მაჩვენებლად მართლ-მადიდებელი სარწმუნოების გავრცელების საქმეში. ერთი სომეხ-ფრანგი ყმაწვილი (მართლა მცირე წლოვანი კი არავის გეგონოს, მოხუცებულიცაა) გამოდგა და დაგვიწყო ქადაგება იმაზედ, რომ ეხლად შემოერთებულ ბათუმისა და ყარსის მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველთ შორის ქრისტიანობის გავრცელებაზედ ხმა არ ამოვიღოთ. ისინი ბევრად სჯობს თათრებად დარჩნენო, ჩვენ მხოლოდ წინამძღოლების ამორჩევის ნება უნდა მივსცეთ მათ და სხვა საჭირო არა არის რაო.

ამ ყმაწვილს გულში მოხვდა ჩვენი სიტყვები, რომელნიც მწარე ფიქრებში გამოითქვა და მის შემდეგ ძილი აღარ მოსვლია. აღძრულ საგნის შესახებ სათქმელი არა ჰქონდა-რა და ორი თვე თითქმის იმაზე ჰფიქრობდა, თუ როგორ გადაეხადა ჩვენთვის ვალი. დიდი ფიქრის შემდეგ აიღო ხელში კალამი და დასწერა სტატია მოკლე მიმოხილვა ჩვენის სამღრთო და საეკკლესიო წიგნების მდგომარეობისას. ეს სტატია თითქმის «ივერიის» ათ ნომერში გააჭიანურა და თავი მოაბეზრა მკითხველებს თავის წიგნადობილობით, სანამ ამ გაუთავებელ და ძლივს დანაცოხრებულს სტატიას გაათავებდა ავტორი. ჩვენ ვსთხოვეთ ხსენებული სტატიის ავტორს, თუ რაიმე სიმართლე მიუძღოდა მასს აღძრული კითხვისამებრ ჩვენს შესახებ, პირ-ბადე ჩამოეხსნა და საზოგადოებას აშკარად ჩვენებოდა. საჭირო იყო, შეეტყო საზოგადოებას, თუ ვისთან გვაქვს საქმე, მაგრამ ამ ჯურის მწერლები თავის ვინაობის გამოჩენას ისე ერიდებიან, როგორც ერთი არსება სინათლეს...

ნაცვლად იმისა, რომ ეს ჩვენი სამღრთო და საეკკლესიო წიგნებზედ მზრუნველი გამომჩდარიყო და საზოგადოებისათვის ეთქვა: აი მე გახლავარ ესადა-ეს, რომელსაც გული შემტკივა საკეთილო საქმეზე და წინაღმდეგი ვარ დ. ღამბაშიძისა, დიდის გაბედვით და დიდის შიშით თავის ბოლო სტატიას მოაწერა **ქართლოსისძე.**

რისი ეშინია ბ. ქართლოსისძეს, რომ ლობეს ეფარება? რომ ის თავისი უფროსის შესახებ სწერდეს რამეს, ან ჩვენთან რაიმე დამოკიდებულება ჰქონდეს, მაშინ ეპატიება დამალვა და თავისი ვინაობის დაფარვა, თორემ აღძრული კითხვის შესახებ წერა და ლაპარაკი არც საშიშია და არც სასირცხო. ავტორი, როგორც ეტყობა, ძლიერ გამსჭვალულია სომხურ-ფრანგულ და იეზუიტური მიმართულებით და ალბად ამისი ეშინია. ჩვენთვის საკმაო იყო ამ ბატონის ვინაობის გამოცხადება, მაშვინ თვითონ მკითხველი მიხვდებოდა, თუ რა შვილ მზრუნველთან გვაქვს საქმე, მაგრამ ქართლოსისძემ სიბნელეს მიაშურა.

ქართლოსის ძეთ კი არა ადამის ძეთაც რომ მოეწერა ხელი ჩვენს მოკამათეს, მასს მაინც ძლიერ კარგათ ვიცნობთ, მაგრამ რადგან მასს ასე მეტისმეტად ეშინია თავისი ვინაობის გამოცხადებისა, დეე, ბნელეთმა დაჰფაროს იგი, ჩვენი საქმეა დავამტკიცოთ მხოლოდ ბ. ქართლოსისძის იეზუიტური და უსინიდისო საქციელი შესახებ ჭეშმარიტების გამოაშკარავებისა. ჩვენი საქმეა დაუმტკიცოთ საზოგადოებას, რომ ქართლოსისძემ ჯერ კიდევ არ იცის, თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაში არის ჩვენი სამღრთო და საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმე ჩვენში დღეს. ქართლოსისძემ მოუთხრა საზოგადოებას მოკლე მიმოხილვა სამღრთო და საეკკლესიო წიგნების მდგომარეობისა, რომლის შესახებ ცნობები, როგორც თვითონ აღიარებს, შეუკრებია სხვა-და-სხვა წერილებიდგან და წიგნებიდგან, ბოლოს საყვედური უძღვნა საქართველოს სამღვდელოებას, რომ წიგნების ბეჭვდის საქმე რიგიანად ვერ მოუწყვია, დაამტკიცა, რომ ამ წიგნების ბეჭდვა უმჯობესია ტფილისში იყოს, ბოლოს ნათლიაობის გრძნობით გატაცებულმა მოინდომა ერთი ნათლი-მამის ძველი სტამბის გასაღება სასინოდო კანტორაზედ და ამით გაათავა საქმე. შეუდგეთ ქართლოსისძის სიტყვების განხილვას და ცხადათ დავინახავთ მისს ცილის წამებას ჩვენს შესა-